

გთავაზობთ ინფორმაციას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისა და შესაბამისი ტესტების შესახებ

№	პროფესიული პროგრამა	ტესტები	
		უნარების ტესტი	საბაზო ცოდნის შესამოწმებელი ტესტები
1	გემბანის მეზღვაური	მექანიკურ-სივრცითი უნარების ტესტი	<ul style="list-style-type: none"> • ტესტი მათემატიკაში • ტესტი ინგლისურ ენაში
2	სამანქანე განყოფილების მეზღვაური	მექანიკურ-სივრცითი უნარების ტესტი	<ul style="list-style-type: none"> • ტესტი მათემატიკაში • ტესტი ინგლისურ ენაში
3	გემის მზარეული	საბაზო აკადემიური უნარების ტესტი	<ul style="list-style-type: none"> • ტესტი ბუნებისმეტყველებაში (ქიმია, ბიოლოგია) • ტესტი ინგლისურ ენაში
4	გემის ელექტრიკოსი	მექანიკურ-სივრცითი უნარების ტესტი	<ul style="list-style-type: none"> • ტესტი მათემატიკაში • ტესტი ინგლისურ ენაში

ტესტირების ჩატარების ცხრილი

№	პროფესიული პროგრამა	ტესტი	თარიღი	დრო
1	გემბანის მეზღვაური	მექანიკურ-სივრცითი უნარების ტესტი	14.04.2014	10.00-12.00
		ტესტი მათემატიკაში	14.04.2014	13.00-15.00
		ტესტი ინგლისურ ენაში	15.04.2014	10.00-12.00
2	სამანქანე განყოფილების მეზღვაური	მექანიკურ-სივრცითი უნარების ტესტი	14.04.2014	10.00-12.00
		ტესტი მათემატიკაში	14.04.2014	13.00-15.00
		ტესტი ინგლისურ ენაში	15.04.2014	10.00-12.00
3	გემის მზარეული	საბაზო აკადემიური უნარების ტესტი	14.04.2014	10.00-12.00
		ტესტი ბუნებისმეტყველებაში (ქიმია, ბიოლოგია)	14.04.2014	13.00-15.00
		ტესტი ინგლისურ ენაში	15.04.2014	10.00-12.00
4	გემის ელექტრიკოსი	მექანიკურ-სივრცითი უნარების ტესტი	14.04.2014	10.00-12.00
		ტესტი მათემატიკაში	14.04.2014	13.00-15.00
		ტესტი ინგლისურ ენაში	15.04.2014	10.00-12.00

ყურადღება!

- ტესტირებაზე გასვლის უფლება აქვთ მხოლოდ რეგისტრაციაგავლილ პირებს;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე პირი ტესტირებაზე არ დაიშვება;
- ტესტირებაზე დასაშვებია მხოლოდ ნებადართული პირადი მოხმარების და ჰიგიენის (წყალი, წამლები, საწერი კალამი, ხელსახოცები და სხვ.) ნივთების შემოტანა. ნებადართული ნივთები უნდა იყოს განთავსებული საგამოცდო მაგიდის ზედაპირზე;
- აკრძალულია: ტესტირებაზე დაგვიანება; ტესტირებაზე არანებადართული ნივთების (სასწავლო მასალის/სახელმძღვანელოს, მობილური ტელეფონის, ნოუტბუქის, ყურსასმენების და სხვადასხვა ხელსაწყოების, ნებისმიერი სახის ჩანაწერების, ე.წ. "შპარგალკის" და სხვ.) შეტანა ან გამოყენების მცდელობა; ქურთუკით, ქუდით ან თავსაბურავით შემოსვლა; დაწყებული ტესტირების (თუნდაც დროებით ან საპატიო მიზეზით (ჯანმრთელობის მდგომარეობა ან სხვ.) მიტოვება; დამკვირვებლის გაფრთხილების მიუხედავად წესრიგის დარღვევად მიჩნეული ქმედების (გადალაპარაკება, აუდიტორიაში სიარული, რაიმე ფორმით დახმარების გაწევა ან/და მიღება, სხვა პირებისთვის ხელის შეშლა ან სხვ.) განმეორებით ჩადენა; ტესტირების ჩაშლის მცდელობა. მითითებული წესების დარღვევის შემთხვევაში პირი კარგავს დაწყებულ ტესტირებაზე შესვლის და ტესტირების დასრულების უფლებას;
- ტესტისთვის დროის ლიმიტია დადგენილი - 2 სთ;
- ტესტის ნაწილების (ქვეტესტების) დრო არ შეიზღუდება;
- ყველა შემთხვევაში მითითებული ტესტი ფასდება ქულებით, ტესტის მაქსიმალური ქულა მიიღება ტესტის ყველა ნაწილის (ქვეტესტის) სწორად შესრულების/სწორი პასუხის გაცემის შემთხვევაში;

- ტესტის საბოლოო ქულა (ტესტირების შედეგი) დამოკიდებულია სწორად გაცემული პასუხების/შესრულებული დავალებების რაოდენობაზე;
- ტესტი დამლეულად ჩაითვლება, თუ დაგროვდა ტესტის მაქსიმალური ქულის არანაკლებ ნახევარზე მეტი (ანუ მაქსიმალური ქულის 51% და მეტი);
- პროფესიულ პროგრამაზე ჩაირიცხება პირი, რომელსაც ყველა ტესტი წარმატებულად აქვს დაძლეული (ყველა ტესტში მიღებული აქვს ტესტის მაქსიმალური შეფასების არანაკლებ 51%);
- ტესტირების შედეგები გამოცხადდება 17 აპრილს;
- 17 აპრილს ტესტირებაში ყველა მონაწილე პირი უნდა გამოცხადდეს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტში და გაეცნოს ტესტირების შედეგებს (სიები იქნება განთავსებული სასწავლო უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე). იმ პირებმა, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ტესტირება, 17 აპრილს უნდა გაიარონ პირველადი ადმინისტრაციული რეგისტრაცია და გადაიხადონ სწავლის საფასური. იმ პირებს, რომლებიც არ ეთანხმებიან ტესტირების შედეგებს, შეუძლიათ განცხადებით მიმართონ სასწავლო უნივერსიტეტის რექტორს ტესტირების შედეგების გასაჩივრების მიზნით. 22 აპრილს 10.00 საათზე საპრეტენზიო კომისიის მიერ მოხდება საჩივრების განხილვა დაინტერესებული პირების მონაწილეობით. საჩვრის განხილვაზე აუცილებელია დაინტერესებული პირის დასწრება. საპრეტენზიო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საბოლოოა და გამოცხადდება 22 აპრილს.

დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:

ბათუმი, მახინჯაური, თამარ მეფის გამზირი N 38
 ტელეფონი: +995 790 29 25 25,
 ფაქსი: + 995 322 25 42 32
 E-mail: info@bntu.edu.ge